

შრომის ბაზარზე მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილების გავლენის სტატისტიკური შეფასება

ივლია ონიანი

ანსუ-ს ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

ნაშრომის მიზანია 2014-2022 წლამდე პერიოდში შეფასდეს საქართველოში მოსახლეობისა და სამუშაო ძალის ასაკობრივი სტრუქტურის წვლილი დასაქმების დონისა და უმუშევრობის დონის აგრეგირებული მაჩვენებლების ცვლილებაში. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, ჩვენ შევეცადეთ გაგვეცა პასუხი კითხვაზე - რა ზომით ახდენს გავლენას შრომის ბაზრის დინამიკაზე მოსახლეობის ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების დასაქმებისა და უმუშევრობის დონის ცვლილების შედეგები.

წარმოდგენილი ანალიზი მოწმობს, რომ დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლების დინამიკა 2014-2022 წლამდე პერიოდში ბევრად არის განპირობებული ძვრებით მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში.

სტანდარტიზებული მაჩვენებლის მიხედვით თუ კი მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა დარჩება იგივე, როგორც ის იყო 2014 წელს, მაშინ დასაქმების დონე 2022 წელს შეადგენს 34,9 %-ს, ე.ი. შემცირება შეადგენს 6,5 %-ს.

ძვრებმა სამუშაო ძალის ასაკობრივ სტრუქტურაში (ახალგაზრდების ნილის შემცირება) შეიტანა განსაზღვრული წვლილი უმუშევრობის დონის შემცირებაში და შემდგომში მის დაბალ ნიშნულზე შენარჩუნებაში მიუხედავად ეკონომიკური ზრდის შენელებული ტემპისა. შესრულებული გაანგარიშებები გვიჩვენებს, რომ თუ კი სამუშაო ძალის განაწილება ასაკის მიხედვით დარჩება იგივე, როგორც ეს იყო 2014 წელს, მაშინ უმუშევრობის დონე 2022 წელს იქნებოდა 12,0% ე. ი. შემცირდება დაახლოებით 2-ჯერ ანუ ზუსტად -11,0 %-ით.

საკვანძო სიტყვები: დასაქმება, უმუშევრობა, შრომის ბაზარი, სტატისტიკური მეთოდი, სტრუქტურული ცვლილებები, ასაკობრივი სტრუქტურა, სტანდარტიზაციის მეთოდი.

STATISTICAL ANALYSIS OF THE IMPACT OF CHANGES IN THE AGE STRUCTURE OF THE POPULATION ON THE LABOR MARKET

Ivliia Oniani

Associate Professor

of Akaki Tsereteli State University

The aim of the article is to evaluate the role of the age structure of the population and workforce in Geor-

gia to the change of the aggregate indicators of the employment level and unemployment level in the period between 2014-2022. In other words, we tried to answer the question - to what extent the results of changes in the employment and unemployment levels of individual age groups of the population affect the dynamics of the labor market.

The presented analysis testifies that the dynamics of employment and unemployment indicators in the period 2014-2022 is largely due to changes in the age structure of the population.

According to the standardized index, if the age structure of the population remains the same as it was in 2014, then the employment level in 2022 will be 34.9%, so the reduction is 6.5%.

Changes in the age structure of the labor force (decrease the amount of young people) made a limited contribution to reducing the unemployment rate and subsequently keeping it at a low level despite the slowing rate of economic growth. The calculations show that if the age distribution of the labor force remains the same as it was in 2014, then the unemployment rate in 2022 would be 12.0% so it would decrease by approximately 2 times, or exactly by -11.0%.

Key words: employment, unemployment, labor market, statistical method, structural changes, age structure, standardization method.

* * * *

საქართველოში შრომის ბაზრის განვითარება 2014-2022 წლებში ხასიათდება დადებითი დინამიკით. დასაქმების დონე ამ პერიოდის დასაწყისში 3-4 წლის განმავლობაში ხასიათდება ზრდის ტემპებით, ხოლო შემდგომ პერიოდში შენარჩუნებულია სტაბილური ტემპი, თუმცა პანდემიის პერიოდში ტემპი უმნიშვნელოდ შემცირდა. (ცხრ.2.). ზოგადად შრომის ბაზრის მაჩვენებელთა დინამიკაზე გავლენას ახდენს მაკროეკონომიკური ფაქტორები, კერძოდ: ეკონომიკური ციკლის ფაზები, ეროვნული ეკონომიკის საერთო მდგომარეობა და ეკონომიკური კონიუნქტურა. უნდა აღინიშნოს, რომ მაკროეკონომიკური მაჩვენებლების (სამუშაო ძალაში მონაწილეობის დონე, დასაქმების დონე, უმუშევრობის დონე) ზრდა ან შემცირება შეიძლება მოხდეს აგრეთვე მოსახლეობაში და სამუშაო ძალის სტრუქტურაში (სქესობრივი, ასაკობრივი, საგანმანათლებლო და სხვა) ცვლილების შედეგად.

ცხრილი 1. მოსახლეობისა და სამუშაო ძალის ასაკობრივი სტრუქტურა საქართველოში 2014 -2022წწ.

ასაკობრივი ჯგუფები	მოსახლეობა			სამუშაო ძალა		
	2014 წ.	2022 წ.	ცვლილება პ.პ.	2014 წ.	2022 წ.	ცვლილება პ.პ.
15-24	13,4	11,3	-2,1	12,5	7,9	-4,6
25-34	14,5	13,4	-1,1	22,0	20,2	-1,8
35-44	13,2	13,7	0,5	21,3	22,4	1,1
45-54	13,8	12,4	-1,4	21,3	21,7	0,4
55-64	12,2	13,1	0,9	15,6	19,0	3,4
65+	14,2	15,5	1,3	7,4	8,8	1,4

წყარო: საქსტატის მონაცემების საფუძველზე ავტორის გაანგარიშებები.

ამერიკელმა ეკონომისტმა **ჯონ პერიმ** პირველმა გაამახვილა ყურადღება იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს სამუშაო ძალის ასაკობრივ სტრუქტურაში ცვლილებები უმუშევრობის დონეზე.

60-იანი წლების მეორე ნახევარში აშშ-ს ბაზარზე ე. წ. „ბები-ბუმერების“ თაობის მასობრივმა შემოსვლამ გამოიწვია ახალგაზრდა თაობის წილის გაზრდა სამუშაო ძალის შემადგენლობაში, რამაც მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა უმუშევრობის დონის აგრეგირებულ მაჩვენებელზე, რამდენადაც სწორედ ახალგაზრდებისათვის არის დამახასიათებელი უმუშევრობის მაღალი რისკი. იმისათვის, რომ ელიმინირება მოეხდინა სამუშაო ძალის ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებისა, **ჯონ პერიმ** ააგო უმუშევრობის დონის კორექტირებული მაჩვენებელი, რისთვისაც მან გამოიყენა სამუშაო ძალის შემადგენლობაში ასაკობრივი ჯგუფების ფიქსირებული წილის მაჩვენებელი წლების მიხედვით. ფაქტიურად მან შრომის ბაზრის მაჩვენებელთა ანალიზისათვის გამოიყენა დემოგრაფიისათვის კარგად და ფართოდ ცნობილი **სტანდარტიზაციის** მეთოდი. შემდგომში უმუშევრობის ცვლილების განხილვისას „ჯონ პერის მიხედვით შეწონილი“ უმუშევრობის დონის გაანგარიშებები გახდა სტანდარტული. სტატისტიკოსთა უმრავლესობა დღეს მოსახლეობისა და სამუშაო ძალის სტრუქტურის (სქესი, ასაკი, განათლება, ოჯახური მდგომარეობა და სხვა) შრომის ბაზრის დინამიკაში ცვლილების ანალიზისათვის იყენებენ **სტანდარტიზაციის**¹ მეთოდს.

ნაშრომის მიზანია 2014-2022 წლამდე პერიოდში შეფასდეს საქართველოში მოსახლეობისა და სამუშაო ძალის ასაკობრივი სტრუქტურის სწვლილი დასაქმების დონისა და უმუშევრობის დონის აგრეგირებული მაჩვენებლების ცვლილებაში. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, ჩვენ შევეცადეთ გაგვეცა პასუხი

კითხვაზე- რა ზომით ახდენს გავლენას შრომის ბაზრის დინამიკაზე მოსახლეობის ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების დასაქმებისა და უმუშევრობის დონის ცვლილების შედეგები, როგორია მოსახლეობის და სამუშაო ძალის შემადგენლობაში სტრუქტურული ცვლილების შედეგები.

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, 2022 წელს 2014 წელთან შედარებით 15-24 წლამდე ასაკში ახალგაზრდების წილი მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში შემცირდა 1,7 %-ით, 25-29 წლის ახალგაზრდების წილი კი 1,5 %-ით. სამუშაო ძალის შემადგენლობაში ასევე შემცირდა მათი წილი და შესაბამისად შემცირებამ შედგინა - 2,2 % და 2,0%.

როგორც ცხრილი-1-დან ჩანს მოსახლეობისა და სამუშაო ძალის სტრუქტურაში 2014-2022 წლებში მოხდა გარკვეული ცვლილებები. ერთის მხრივ გაიზარდა ეკონომიკურად აქტიური ჯგუფების (30-დან 39-მდე ასაკის) წილი, რომელთაც აქვთ დასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი და უმუშევრობის ყველაზე დაბალი რისკი, ხოლო მეორეს მხრივ შემცირდა იმ ჯგუფების წილი, რომელთაც ახასიათებთ დასაქმების უფრო დაბალი დონე. მოსახლეობისა და სამუშაო ძალის ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილება გავლენას ახდენს დასაქმებისა და უმუშევრობის აგრეგირებული მაჩვენებლების დინამიკაზე.

დასაქმებისა და უმუშევრობის დონის სტანდარტიზებული შეფასების გაანგარიშებისათვის ვიყენებთ **ჯონ პერის** მეთოდოლოგიას, რომლის მიხედვითაც დასაქმების სტანდარტიზებული დონე გამოითვლება ფორმულით:

$$AE_{mp} R_t = \sum_i (d_i^{2014} \times E_{mp} R_i^t) \quad (1)$$

სადაც, $AE_{mp} R^t$ - დასაქმების სტანდარტიზებული დონეა t წლისთვის;

d_i^{2014} - i -ური ჯგუფის წილი 2014 წლის მოსახლეობის რიცხოვნობაში;

$E_{mp} R_i^t$ - i -ური ჯგუფის დასაქმების დონეა t წელს.

ცხრილი 2. დასაქმებისა და უმუშევრობის დონეების ფაქტიური და სტანდარტიზებული მაჩვენებლები 2014-2022 წწ. (პროცენტებში)

წლები	დასაქმების დონე		უმუშევრობის დონე	
	ფაქტიური %-ში	სტანდარტიზებული 2014 წლის ასაკობრივი სტრუქტურის მიხედვით	ფაქტიური %-ში	სტანდარტიზებული 2014 წლის ასაკობრივი სტრუქტურის მიხედვით
2014	41,4	36,3	23,0	17,9
2015	43,3	35,8	21,9	16,41
2016	43,0	37,6	21,7	16,47
2017	42,7	35,23	21,6	16,01
2018	42,7	35,31	19,2	11,49
2019	42,7	35,5	17,6	13,5
2020	41,4	34,0	18,5	11,65
2021	40,4	33,5	20,6	16,26
2022	42,9	34,9	16,7	12,0

წყარო: საქსტატის მონაცემების საფუძველზე ავტორის გაანგარიშებით.

ანალოგიურად, უმუშევრობის სტანდარტიზებული დონის გაანგარიშებისათვის გამოიყენებს ფორმულა:

$$AUR_t = \sum_i (W_i^{2014} \times UR_i^t) \quad (2)$$

სადაც, AUR_t - უმუშევრობის სტანდარტიზებული დონეა t წელს;

W_i^{2014} - სამუშაო ძალის რიცხოვნობაში i -ური ჯგუფის წილია 2014 წელს;

UR_i^t - i -ჯგუფის უმუშევრობის დონეა t -წელს.

დასაქმების დონის სტანდარტიზებული მაჩვენებლების გაანგარიშები მოწოდებულია დაამტკიცოს, რომ მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში ძვრები ხელს უწყობს დასაქმების მაჩვენებლის რეალური დონის განსაზღვრას.

საანალიზო პერიოდის სამი წლის მანძილზე - 2014-2016 წლებში დასაქმების დონე საქართველოში იზრდება, ხოლო 2020-2021 წლებში დასაქმების დონე მნიშვნელოვნად მცირდება, რაც ქვეყანაში პანდემიამ განაპირობა, ბოლო 2022 წელს კი ეს მაჩვენებელი უმნიშვნელოდ გაიზარდა -0,2 პ.პ.

სტანდარტიზებული მაჩვენებლის მიხედვით თუ კი მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა დარჩება იგივე, როგორც ის იყო 2014 წელს, მაშინ დასაქმების დონე 2022 წელს შეადგენს 34,9 %-ს, ე.ი. შემცირება შეადგენს 6,5 %-ს.

საანალიზო პერიოდში უმუშევრობის დონე თანდათანობით მცირდება. მინიმუმს მიაღწია 2022 წელს-16,7 %. უმუშევრობის დონის ყველაზე მეტი შემცირება შეიმჩნევა 2018-2020 წლებში, თუმცა 2020 წლისათვის უმუშევრობა კვლავ გაიზარდა, რაც პანდემიასთან არის დაკავშირებული.

მაშასადამე, ძვრებმა სამუშაო ძალის ასაკობრივ სტრუქტურაში (ახალგაზრდების წილის შემცირება, (ცხრ.1) შეიტანა განსაზღვრული წვლილი უმუშევრობის დონის შემცირებაში და შემდგომში მის დაბალ ნიშნულზე შენარჩუნებაში (ცხრილი 2) მიუხედავად ეკონომიკური ზრდის შენელებული ტემპისა. შესრულებული გაანგარიშებები გვიჩვენებს, რომ თუ კი სამუშაო ძალის განაწილება ასაკის მიხედვით დარჩება იგივე, როგორც ეს იყო 2014 წელს, მაშინ უმუშევრობის დონე 2022 წელს იქნებოდა 12,0% ე.ი. შემცირდება დაახლოებით 2-ჯერ ანუ ზუსტად -11,0 %-ით.

წარმოდგენილი ანალიზი მოწმობს, რომ დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლების დინამიკა 2014-2022 წლამდე პერიოდში ბევრად არის განპირობებული ძვრებით მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. 2021 წლის საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა. თბ., 2021 წ.
2. სამუშაო ძალის მაჩვენებლები-საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. თბ., 2022 წ.
3. სამუშაო ძალის მაჩვენებლები ასაკობრივი სტრუქტურის მიხედვით. www.geostat.ge, info@geostat.ge.
4. Perry G. Changing Labor Markets and Inflation// Brookings Papers on Economic Activity. 1970.Vol. I. Iss. 3. P. 411-448.